საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესი

საცხოვრისის საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის ერთიანი დოკუმენტის შექმნის მიზნით ქვეყანაში მიმდინარეობს პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესი. დოკუმენტის შემუშავების საფუძველია **"ღია მმართველობა საქართველოს** 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 ნოემბრის N537 დადგენილება.

Open Government Partnership

საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესს მხარს უჭერს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების **(USAID),** „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის პროექტის" **(GGI)** მეშვეობით.

უსახლკარობის პრობლემის მოგვარება, მისი კომპლექსურობიდან გამომდინარე, სახელმწიფოსგან მოითხოვს როგორც გრძელვადიანი, ასევე დროის მოკლე მონაკვეთში განსახორციელებელი პრიორიტეტების განსაზღვრას. შესაბამისად, ღია მმართველობის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 აპრილის N190 დადგენილებით შეიქმნა **უწყებათაშორისი სამთავრობო კომის**ია რომელიც აანალიზებს არსებულ მდგომარეობას, გამოწვევებს და შეიმუშავებს საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტს და სამოქმედო გეგმას.

საქართველოს პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემაში ზოგადი მახასიათებლებით პოლიტიკის დოკუმენტებში იგულისხმება 3 სახის დოკუმენტი: **კონცეფცია, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა,** რომელთა შემუშავება რეგულირდება **„პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ"** საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილებით.

პოლიტიკის ციკლი საქართველოს პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემაში მოიცავს შემდეგ ეტაპებს: სიტუაციის ანალიზი; სტრატეგიული ჩარჩოს შედგენა; სამოქმედო გეგმის შემუშავება; ბიუჯეტირება; განხორციელება; მონიტორინგი; შეფასება. ამჟამად საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების ეტაპი არის საწყისს - სიტუაციის ანალიზის ნაწილზე და მიმდინარეობს პრობლემის იდენტიფიცირება და არსებული სიტუაციის გაანალიზება სხვადასხვა კონტექსტში.

პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესში ამ დროისთვის სამი ძირითადი რგოლი მონაწილეობს: **კომისია,** რომელიც დაკომპლექტებულია გადაწყვეტილების მიმღები პირებისგან; **სამუშაო ჯგუფი,** რომელიც შეიქმნა კომისიის საქმიანობის ფარგლებში და უშუალოდ შინაარსობრივად არის ჩართული სამუშაო დონეზე და აერთიანებს როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და **სამდივნო,** რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში - როგორც პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების მაკოორდინებელი ორგანოს შიგნით და ასრულებს ერთგვარ შუამავლის როლს.

ამ დროისთვის გამართულია სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ნაწილი და სამდივნოს მიერ შემუშავებულია **„პრობლემის ხის“ დოკუმენტი,** სადაც წარმოდგენილია ძირითადი პრობლემა, პრობლემის შედეგი და პრობლემის გამომწვევი მიზეზები დონეების მიხედვით. მოცემული დოკუმენტი გაზიარებულია სამუშაო ჯგუფის ყველა წევრისთვის და მიღებული და შემდგომში სამდივნოს მიერ ასახულია დოკუმენტზე მათი უკუკავშირები.

პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესში, საცხოვრისის სფეროში კვლევებთან და სხვა დოკუმენტებთან ერთად გამოყენებულია ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პოლიტიკის დოკუმენტი - **„არასტაბილური საცხოვრისის პოლიტიკა საქართველოში“.**

აღწერილ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა **უსახლკარობის** კონკრეტული და ამომწურავი **განმარტების** ჩამოყალიბება, რომელიც მიმართულების მომცემი იქნება პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების შემუშავების პროცესში.